



დამოუკიდებელი ინსპექტორის
გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

ქ. თბილისი

2022 წლის 10 მარტი

დისციპლინური საქმე №28/22
-- -- მიმართ

დისციპლინური სამართალწარმოების დაწყებაზე უარის თქმის თაობაზე

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის სამსახურში 2022 წლის 23 თებერვალს -- -- მიერ წარმოდგენილ იქნა №28 საჩივარი -- -- მიმართ.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75¹² მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, მოსამართლის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების დაწყებაზე უარის თქმის საფუძველია, თუ მოსამართლეს შეუწყდა სამოსამართლო უფლებამოსილება.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2021 წლის 17 დეკემბრის -- განკარგულების საფუძველზე, -- -- მოსამართლის უფლებამოსილების ვადის გასვლის გამო გათავისუფლდა მოსამართლის თანამდებობიდან.

იმის გათვალისწინებით, რომ -- -- აღარ ახორციელებს სამოსამართლო უფლებამოსილებას, იგი არ წარმოადგენს „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით განსაზღვრულ სუბიექტს. ამდენად, დამოუკიდებელი ინსპექტორი ვერ იმსჯელებს -- -- მიმართ არსებულ საჩივართან დაკავშირებით.

შესაბამისად, დამოუკიდებელმა ინსპექტორმა იხელმძღვანელა „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75¹² მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით და

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ა :

-- -- №28/22 საჩივრის საფუძველზე ყოფილი მოსამართლის -- -- მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების დაწყებაზე ეთქვას უარი.

ზურაბ აზნაურაშვილი
დამოუკიდებელი ინსპექტორი